სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 ნოემბერი, 2025 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/185

**ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელ ალეკო კალანდიას
შოთა რუსთაველის სახელობის მედლით დაჯილდოების თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის და 62–ე მუხლის, „შოთა რუსთაველის სახელობის მედლის“ დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №122 დადგენილების, ბსუ-ს რექტორის წარდგინების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების უფროსს (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი), **ალეკო კალანდიას გადაეცეს** ბსუ-ს საპატიო ჯილდო - **შოთა რუსთაველის სახელობის მედალი**, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ბსუ-ს 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

2. ბსუ–ს რექტორის აპარატს დაევალოს წინამდებარე დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. წინამდებარე დადგენილება განთავსდეს ალეკო კალანდიას პირად საქმეში.

5. დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, ალეკო კალანდიას, ბსუ-ს რექტორის აპარატს, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**